თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3902105

ნომერი: AR1587806

თარიღი : 23.03.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 18.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიაჩელი , N 15, N15ა, N17ა, N19 , (ნაკვეთი 022/058);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ინჯია პ/ნ 01007000232
- ქიაჩელი 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1587806 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ქიაჩელი ქ. #15, #15ა, 317ა, #19-ში, #01.15.03.022.058 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერებას და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 09 თებერვლის #3814440 ბრძანებით ქ. თბილისში, ქიაჩელი ქ. #15, #15ა, 317ა, #19-ში, შპს "ქიაჩელი რეზიდენსი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, (ს/კ #01.15.03.022.058) შეთანხმდამრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
2018 წლის 13 მარტის #3860027 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2018 წლის 22 მარტის #AR1587263 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.15.03.022.060 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ესკიზის წინასწარი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით 2018 წლის 09 თებერვლის #3814440 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტზე თანდართულ მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნის ასლს.
გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 1 ლარის და 15 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
დანართი: 39 ფუცელი.
1.მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2.მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3.ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6.გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1587806 23.03.2018წ.)
